

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ. ვანი თავისუფლების N 65

31 ივლისი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები : კობა ტოხვაძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ეწრებოდნენ: შალვა ლორთქიფანიძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ უფროსი - როინ კანკაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობების - ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა“ განვითარების სახელმწიფო ოთხწლიანი პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხს: კობა ტოხვაძე

2. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ მიერ 2019 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: როინ კანკაძე

გადაწყვეიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენის :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ კომისიის წევრებს გააცნო რეგიონული პოლიტიკისა და თვითმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის წერილი „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობების - ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა“ განვითარების სახელმწიფო ოთხწლიანი პროგრამის შესახებ.

კომისიამ განიხილა და ცნობის სახით მიიღო წარმოდგენილი საკითხი.

/დანართი N2/

მოხსენის :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა როინ კანკაძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ მიერ 2019 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 01 აპრილიდან საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს შეუერთდა საფეხბურთო სკოლა, კერძოდ ბავშვთა ფეხბურთი ასევე უზუფრუქტით გადაეცა ვანის გრიგოლ ნიკოლეიშვილის ცენტრალური სტადიონი და ციხესულორის სტადიონი. საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანის“ ფეხბურთელთა გუნდმა ითამაშა კალენდარული თამაშის ერთი წრე და მზადება არის ახალი სეზონისთვის გუნდში მოხდა ცვლილებები, გუნდს დაემატა რამდენიმე ჩამოყვანილი ფეხბურთელი.

ასევე გუნდმა გაიარა ადგილზე შეკრება სადაც ითამაშა რამდენიმე ამხანაგური თამაში და დასრულდა წარმატებით. ამჟამად გუნდი იმყოფება რეგიონალურ ლიგაში და ემზადება 4 ლიგაში გადასასვლელად. კლუბი ასევე გეგმავს ბავშვთა ფეხბურთის გათამაშებას.

კომისიის წევრებმა განიხილეს, იმსჯელეს წარმოდგენილი საკითხის შესახებ, რომლის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

/დანართი N3/

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე